GIU № 01-01/24

29/04/2024

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს რექტორის
ბრძანება N 01-01/24

ქ.თბილისი **29აპრილი, 2024 წ**

(ბუსანის უცხოურ სწავლებათა უნივერიტეტში სტუდენტთა ურთიერთგაცვლის კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ეტაპების შესახებ)

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის, საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-სა და ბუსანის უცხოურ სწავლებათა უნივერსიტეტს შორის არსებული სტუდენტთა ურთიერთგაცვლის შეთანხმების და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის გამოცხადდეს კონკურსი ბუსანის უცხოურ სწავლებათა უნივერსიტეტში საერთაშორისო მობილობით გაგზავნის მიზნით;

2. წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონკურსი ჩატარდეს სამ ეტაპად:

I ეტაპი: საკონკურსო დოკუმენტების მიღება და გადარჩევა

II ეტაპი: ტესტირება ინგლისურ ენაში

III ეტაპი: გასაუბრება კომისიასთან

3. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე;
- აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამოტივაციო წერილი (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამდასტურებელი დოკუმენტი (ასეთი დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, ინგლისური ენის ცოდნის დონე შემოწმდება საუნივერსიტეტო შიდა გამოცდით);
- CV (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- 1 ან 2 სარეკომენდაციო წერილი (გაიცემა ლექტორების მიერ);
- სხვა უნარებისა და მიღწევების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც კონკრეტული კონკურსის თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს პირის შესარჩევად (კონფერენციებში, ტრენინგებში, მასტერკლასებსა და სხვა კონკრეტულ აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები).

4. გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2024 წლის 29 აპრილიდან, 3 მაისის ჩათვლით;

5. პირველ ეტაპზე მოხდება კანდიდატების საბუთების გადარჩევა, მეორე ეტაპზე გასულ კანდიდატებს ჩაუტარდებათ ტესტირება ინგლისურ ენაში;
6. მესამე ეტაპზე გასულად ჩაითვლება კანდიდატი რომლის ინგლისური ენის ცოდნის დონე შეესაბამება არანაკლებ B2--ს და აღნიშნული დადასტურდება ტეტსირებით;
7. მესამე ეტაპზე გასული კანდიდატი გასაუბრებას გაივლის კომისიასთან. კომისიის მუშაობდა ფორმდება ოქმის სახით;
8. დაევალოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ბრძანებით გათვალისწინებული კონკურსის ორგანიზება და კოორდინაცია;
9. დაევალოს უნივერსიტეტის ბიზნესის, სოციალურ და ჰუმანტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანს წინამდებარე ბრძანების გავრცელება;
10. ბრძანება ძალაშია მისი ხელმოწერის მომენტიდან.

შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი
ჯიუ,
რექტორი,
პროფესორი
გიორგი მათიაშვლი